ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

პარასკევი 3 იანვარი 1975 № 2 (16128) ფასი 2 კაპ.

...მივაღწიოთ იმას, რომ ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლა გახდეს თვითთეული კომუნისტის, თვითთეული მშრომელის ღრმა შინაგანი, პირადი მოთხოვნილება.

ლ. ბრეჟნევი

ხუთწლედის-ვადაგზე!

1975-

რუსთაველ მეტალურგთა შესანიშნავი სტარტი

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ყველა საამქროს კოლექტივებმა წარმატებით შეასრულეს ხუთწლედის ახალი, დამამთავრებელი წლის პირველი დღეების დავალებანი. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მარტენელებმა. მათ დღე-ღამეში გეგმის გადაჭარბებით გამოადნეს 400 ტონაზე მეტი ფოლადი. სახელგანთქმულმა მეფოლადეებმა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. მეტრეველმა, მ. სპანდერაშვილმა, გ. ფანჩვიძემ, ნ. გულიაშვილმა, გ. სებისკვერაძემ და სხვებმა გამოუშვეს პირველი ჩქარისნული ნადნობი.

წლის პირველი დღეების შედეგები შეჯამდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიის სხდომაზე. ამავე დროს შეჯამდა საწარმოს კოლექტივის გასული წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგები.

1974 წლის ოქტომბრის დამლევს მეტალურგებმა წლის ბოლომდე დარჩენილი დღეები დამკვრელურად გამოაცხადეს. მათ შეასრულეს სიტკვა და გამოუშვეს ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, კოქსი, ნაგლინი, მილები და სხვა პროდუქცია.

კომისიის სხდომაზე ინფორმაცია გააკეთა ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსმა ბ. ი. სპივაკოვსკიმ, გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. კობახიძე, ქარხნის პარტკომის მდივანი კ. შ. ბაქრაძე, სააგლომერაციო საამქროს უფროსი ზ. ს. თათარაძე, მთავარი ენერგეტიკოსი შ. ა. ზარანდია, კოქსქიმიური საამქროს უფროსის მოადგილე ა. ი. მამულაშვილი, ქარხნის დირექტორი ო. ნ. სულაძე, მილსაგლინავი საამქროს უფროსი რ. ა. თხელიძე და სხვები. მათ ილაპარაკეს იმაზე, თუ რა კეთდება ქარხანაში მიმდინარე წლის დაძაბული საწარმოო პროგრამის რეალიზაციისათვის. კომისიამ ნიიღო ცნობად, რომ ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა ფაშისტურ ვერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავამდე დარჩენილი დღეები გაზრდილი შრომითი დავალებით დამკვრელურად და თითოეული შრომითი დავალება მიუძღვნას გმირ ქალაქს, ივნვრის პირველი ათდღიანი ძლევნება ვენი სამშობლოს დიდებულაქს — გმირ ქალაქ მოსკოვს.

კომისიის სხდომაზე მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ნ. ... (სტენოგრამა).

პარასკევი 3 იანვარი 1975 № 2 (16128) ფასი 2 კაპ.

...მივაღწიოთ იმას, რომ ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლა გახდეს თვითთეული კომუნისტის, თვითთეული მშრომელის ღრმა შინაგანი, პირადი მოთხოვნილება.

ლ. ბრეჟნევი

შრომითი გამარჯვება

ჩირქეის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს, მემონტაჟეებს, დამპროექტებლებს, ექსპლოატაციის მუშაკებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად გილოცავთ შესანიშნავ შრომითს გამარჯვებას — ჩირქეის ჰიდროელექტროსადგურის 250 ათასი კილოვატი სიმძლავრის პირველი აგრეგატის ამოქმედებას.

ერთი მილიონი კილოვატი საპროექტო სიმძლავრის ჩირქეის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც დაღესტანში მდინარე სულაკზე შენდება, დიდი წინგადადგმული ნაბიჯია საბჭოთა ჰიდროენერგეტიკის განვითარების გზაზე. აქ პირველად საბჭოთა პრაქტიკაში რთულ გეოლოგიურ პირობებში შენდება დიდი დაწნევის ბეტონის თაღოვანი კაშხალი. ჩირქეის ჰიდროკვანძს დიდი მნიშვნელობა აქვს დაღესტნის სსრ ეკონომიკის, კულტურის ამაღლებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ენერგომომარაგების გაუმჯობესებისათვის, ხაშუალებას გვაძლევს კომპლექსურად გადავწყვეტოთ რესპუბლიკის ენერგეტიკის, ირიგაციის, ქალაქებისა და დაბების წყლით მომარაგების პრობლემები.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ თქვენ მიაღწიეთ შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას ჰიდროენერგეტიკულ მშენებლობაში ბეტონის ჩასხმის, გვირაბების გაყვანის, დაცეშენტებისა და ხამონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს მათი მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის პირობებში.

თქვენი შრომითი მიღწევები ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების, პროგრესული ტექნიკური გადწყვეტებისა და სამუშაოთა წარმოების მეთოდების გამოყენების, ერთსულოვანი მრავალეროვანი კოლექტივის თავდადებული შემოქმედებითი შრომის შედეგია.

გისურვებთ, ამხანაგებო, ახალ წარმატებებს მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ვლადიმირის ოლქის კოვროვის ვ. ა. დეგტიაროვის სახელობის ქარხნის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მაურავალედ გილოცავთ შესანიშნავ შრომითს გამარჯვებას — წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებას.

ეს წარმატება მიღწეულია სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვის, ქარხნის მთელი კოლექტივის თავდადებული შრომის, სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების ამოცანების განხორციელებისათვის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მეოხებით.

თქვენი მიღწევები ერთხელ კიდევ მკაფიოდ ადასტურებენ, თუ რა დიდი შრომითი წარმატებებს მოპოვება შეიძლება თვითეულ საწარმოში შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის ბრძოლაში, წარმოების რეზერვების მუდმივი ძიებისა და მათი უნარიანი გამოყენების მეოხებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ ქარხნის კოლექტივი ამრავლებს ხახელოვან შრომითს ტრადიციებს და შეასრულებს 1975 წელს — ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მიღებულ შემხვედრ გეგმას.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ წარმატებებს შრომაში ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ლ. ბრეჟნევი,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

ხუთწლედის დამამთავრებელი წელი

1975 წელი, მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, თავის უფლებებში შევიდა. მან უნდა შეაჯამოს სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის შედეგები, გადასცეს პატრიოტული საქმეების დამკვრელური ესტაფეტა მეათე ხუთწლედს.

უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანები დგას საბჭოების ქვეყნის წინაშე ახალ წელს. წარმატებაში დიდად დარწმუნებულნი იწყებენ მათს რეალიზაციას მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა. ინტელიგენცია. ამ რწმენას ყველა საბჭოთა ადამიანს მატებს ჩვენი პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული პოლიტიკა, კომუნისტური მშენებლობის მკაფიო პერსპექტივები.

საყვარელი სამშობლოსათვის სიამაყით აღიქვა მილიონობით მშრომელმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხისადმი. „კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, — ნათქვამია მილოცვაში, — კვლავაც თანმიმდევრულად და განუხრელად განახორციელებენ სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარების, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების, ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცების კურსს“.

ეს კურსი კონკრეტულად აისახა 1975 წლის მასშტაბურ გეგმებში, რომლებიც დასახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ. დაჩქარებული ტემპებით. განვითარდება ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია, უწინარეს ყოვლისა ის დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ მთელი ეკონომიკის ტექნიკურ პროგრესს. ახალი ნაბიჯი უნდა გადაიდგას სოფლის მეურნეობის გარდაქმნის კომპლექსური პროგრამის განხორციელების გზაზე. კვლავ იზრდება კაპიტალური მშენებლობის მოცულობა, რაც საშუალებას მოგვცემს არსებითად გავადიდოთ ძირითადი ფონდები და გავაფართოოთ ეკონომიური განვითარების ბაზა მომავალ ხუთწლედში. ფართოდ განვითარდება მეცნიერების, ტექნიკის, მოწინავე გამოცდილების მიღწევები. იგეგმება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობა.

პარტიის უმაღლესი მიზანია ხალხის კეთილდღეობა. 1975 წელი იქნება მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების წელი. გაიზრდება მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება. არსებითად გაფართოვდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები — კეთილდღეობის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი წყარო. აშენდება 107 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი სახლები. რაც მთლიანად ხუთწლეულში გააუმჯობესებს 56 მილიონზე მეტი კაცის საბინაო პირობებს.

გეგმები ჭეშმარიტად გრანდიოზულია! ისინი მოითხოვენ ძალ-ღონის დაძაბვას, ქვეყნის ყველა მშრომელთა მაღალ პასუხისმგებლობას. საჭიროა და კიდევაც უნდა ვიბრძოლოთ აქტიურად მათი გადაჭარბებით შესრულებისათვის. და აქ მთავარია გავითვალისწინოთ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მთავარი თავისებურება, როცა პირველ პლანზე ზრდის რაოდენობრივ ფაქტორებთან ერთად დგება ხარისხობრივი ფაქტორები. პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უფრო ღრმად უნდა გაშალონ მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის საწარმოო პოტენციალის, მისი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებას.

საბჭოთა კავშირს ახლა უდიდესი ეკონომიური ძალა აქვს. ჩვენში გაიზარდნენ მუშათა, სპეციალისტთა, მეცნიერთა შესანიშნავი კადრები. ამ სიმდიდრეს და შესაძლებლობებს უნდა განვაგებდეთ სულ უფრო უნარიანად, მივაღწიოთ მთელი სამეურნეო მექანიზმის ზუსტ მუშაობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ, სანამ ხდება კაპიტალურ დაბანდებათა დაქსაქსვა, ბევრ საწარმოში საკმარისი არ არის ფონდუკუგება, საწარმოო კოლექტივების ნაწილი თავს ვერ ართმევს გეგმებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს. პარტიულმა კომიტეტებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, ადგილობრივმა საბჭოებმა, პროფკავშირებმა თავიანთ კონტროლს უნდა დაუქვემდებაროონ ასეთი საწარმოები, გაუწიონ ქმედითი დახმარება და ამავე დროს აამაღლონ მომთხოვნელობა კადრებისადმი, განამტკიცონ სახელმწიფო დისციპლინა.

1975 წელი აგვირგვინებს მეცხრე ხუთწლედს. თვითეული კოლექტივის ღირსების საქმეა მიაღწიოს ხუთწლიანი გეგმის უთუო შესრულებას. ამისათვის საჭიროა წლის პირველი დღეებიდანვე ვიმუშაოთ უფრო ეფექტიანად, ვიდრე გუშინ ვმუშაობდით, ავამაღლოთ წარმოების ხელმძღვანელობის დონე, უფრო გავაფართოოთ მასების ინიციატივა და შემოქმედებითი აქტივობა. ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოწინავე გამოცდილების ბეჯითად გავრცელებას, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ აღმავლობას. მისი მილიონობით მონაწილის მეცადინეობა უნდა მოვახმაროთ ხუთწლედის მთავარი სოციალურ-ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტას. გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია, შრომისა და სახსრების ნაკლები დანახარჯებით მივაღწიოთ საგეგმო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებას, — აი იმ სოციალისტური ვალდებულებებისა და შემხვედრი გეგმების უმნიშვნელოვანესი მიზანი, რომლებსაც შრომითი კოლექტივები იღებენ.

ბევრი მოვლენით იქნება საგულისხმო ახალი წელი. მათ შორის არის სახელოვანი საიუბილეო თარიღი, რომელსაც საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა — დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავს. მისი გმირების ხსოვნა წმიდათა წმიდაა. ახალი წარმატებებით შეეხვედით შრომითს ფრონტზე შესანიშნავ წლისთავს — თვითეული საბჭოთა მოქალაქის პატრიოტული მოვალეობაა.

უახლოეს ამოცანებთან ერთად დიდ ყურადღებას მოითხოვს ხანგრძლივი პერსპექტივისათვის მუშაობაც. „1975 წელი მარტო მიმდინარე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი როდი იქნება, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოლდავეთში გამართულ ზეიმზე. — ეს, ამასთან ერთად არის წინა წელიც ჩვენი პარტიის XXV ყრილობისა, რომელმაც უნდა განსაზღვროს ქვეყნის შემდგომი განვითარების პერსპექტივები“.

ახლა განსაკუთრებით კეთილნაყოფიერია საგარეოპოლიტიკური პირობები ჩვენი კომუნისტური აღმშენებლობისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირმა მიაღწია მომძე სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით, სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების მეოხებით. მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ რა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურ პოლიტიკას, ქალაქისა და სოფლის მშრომელები ცდილობენ განამტკიცონ სამშობლოს — მთელი მსოფლიოს მშვიდობის საიმედო ბურჯის ძლიერება. პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული ჩვენი ხალხი ახალ წელს იწყებს მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში.

1975 წელმა შემოაბიჯა საბჭოთა მიწაზე. გზა დავუოლოცოთ ხუთწლედის ძლევამოსილ ფინიშს!

PRAVDA

2 იანვრის მოწინავე

სიტყვის ხალხი

კირველი დღეები—დამკვრელური

ბევრი მოწინავე მუშაკი ჰყავს თბილისის კროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის სახელოვან კოლექტივს. აქ მოსული ახალგაზდა მაშინვე მოხვდება მუშური სამაგალითო ტრადიციების გარემოში და პროფესიის დაუფლების სურვილი ებადება.

ამ მუშური ტრადიციების დამკვიდრების, საქმის სიყვარულის, თავდადების თვალსაჩინო მაგალითს აჩვენებენ ამ ხურათზე ასახული ადამიანები — № 1 მექანიკური საამქროს მხეხავი ვლადიმერ გოგიჩაშვილი და ხარატი ზურაბ ჩხობაძე. მათ უკვე შეასრულეს პირადი ხუთწლიანი გეგმა და ახლა მომავალი ხუთწლედის ანგარიშში შრომობენ. ორ იანვარს ამ ნოვატორმა მუშებმა დამკვრელურად იშრომეს და დღიური დავალება ორმაგად შეასრულეს.

ხურათზე: კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მოწინავე მუშები მხეხავი ვლ. გოგიჩაშვილი (მარცხნივ) და ხარატი ზ. ჩხობაძე.

ს. კილაძის ფოტო.

„ჟიგულს“ — ხარისხის ნიშანი

ტოლიატი, (საიმბირის ოლქი). (საკადესი კორ.). ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა ჟიგულის „ვაზ-2103“ მოდელის ავტომობილს. დღეიდან მანქანის სამ მოდელს, რომელსაც ტოლიატის ავტომობილშენებლები უშვებენ, — „ვაზ-2101“, „ვაზ-2102“, „ვაზ-2103“ — ექნებათ საპატიო ხუთკმიანი ემბლემა.

ახლა ვოლგის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერიდან დღეღამეში ჩამოდის სულ ცოტა 2.230 მცირელიტრაჟიანი მანქანა. ყოველი მესამე მანქანა — ეს არის „ვაზ-2103“ მოდელის „ჟიგული-ლუქსი“.

სულ უფრო ჩქარდება „ვაზ-2101“ მარკის მანქანების გამოშვების ტემპი. ქარხნის კოლექტივში ფართოვდება შეჯიბრება იმისათვის, რომ ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მისაღებად მოამზადონ ამ მოდელის ავტომობილიც.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მასალები

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა ორი ბროშურა, რომლებშიც დაბეჭდილია სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მასალები.

ერთ-ერთ მათგანში გამოქვეყნებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმა“, აგრეთვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

მეორე ბროშურაში ქვეყნდება სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება „სსრ კავშირის 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება“. ბროშურაში დაბეჭდილია აგრეთვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი სსრ კავშირის 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე.

(საკადესი).

პარტია და თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია სსრ კავშირში

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა წიგნი „პარტია და თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია სსრ კავშირში“.

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი სსრ კავშირში ჩვენს ქვეყანაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შესახებ ლენინის იდეების განხორციელების შედეგია. მონოგრაფიაში ნაჩვენებია პარტიის უდიდესი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა, რომლის მიზანია სოციალიზმის უპირატესობათა დაკავშირება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებთან.

ავტორები მონოგრაფიისა აკადემიკოს ი. ი. არტობოლევსკის რედაქციით თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერნი არიან. (საკადესი).

ბაკურიანი

ბაკურიანი, 2 იანვარი. (საკადესი). ბაკურიანი ბალნეოლოგიური კურორტია. ... ...

ბელადი ხალხში

ლენინი საახალწლო დღესასწაულებზე

ვლადიმერ ლენინს რევოლუციური დღესასწაულების დღეებში მუშებთან უყვარდა ყოფნა. მოსკოველი და ლენინგრადელი მუშები, ძველი ბოლშევიკები და რევოლუციის უპარტიო ვეტერანები განსაკუთრებით ტკბილად იგონებდნენ თუ როგორ ხვდებოდა ვ. ი. ლენინი მათთან ერთად ახალ წელს. მათი გადმოცემით იგი სისტემატურად კამოდიოდა საზეიმო სხდომებზე, რომლებიც ეწყობოდა ქალთა საერთაშორისო დღის, პირველი მაისისა და დიდი ოქტომბრის დღესასწაულებთან დაკავშირებით.

პირველ საბჭოთა ახალ წელს ვლადიმერ ილიას-ძე პეტროგრადში მუშათა რაიონში — ვიბორგის მხარის მრეწველობასთან შეხვდა. ეს იყო 1917 წლის 31 დეკემბერს.

ვლადიმერ ილიას-ძემ ჭვიან დატოვა სამუშაო კაბინეტი. „ცოტას დავისვენებ და კვლავ მუშაობას შევუდგები", — ფიქრობდა ვ. ი. ლენინი, მაგრამ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა მოაგონა პარტიის ვიბორგის რაიკომის მიერ გამოგზავნილი მოსაწვევი ბარათი, რომლითაც სთხოვდნენ ლენინს მუშებთან ერთად შეხვედროდა პირველ საბჭოთა ახალ წელს!

რამდენიმე წუთის შემდეგ ვლადიმერ ილიას-ძე და მისი მეუღლე გზას გაუდგნენ. ღამის თორმეტის ნახევარზე ლენინის მანქანა გაჩერდა სიმბირსკის ქუჩაზე № 22 სახლთან: აქ, ყოფილ მიხაილოვის იუნკერთა სასწავლებლის თეთრ დარბაზში ვიბორგელი მუშები და წითელგვარდიელები ხვდებოდნენ ახალ. 1918 წელს.

ამხანაგებო! ჩვენთან მოვიდნენ ვლადიმერ ილიას-ძე და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული! — აღფრთოვანებით დაიძახა ვიღაცამ. დარბაზში გამაყრუებელმა ტაშმა იგრიალა. ასობით თვალი უდიდესი სიყვარულით შესცქეროდა ბელადს. დარბაზში ყოველი მხრიდან გაისმოდა აღტაცების შეძახილები:

— გაუმარჯოს ლენინს!

— ვაშა ილიჩს!

გაუმარჯოს ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს პირველ საბჭოთა ახალ წელს!..

დარბაზში დაირხა „ინტერნაციონალის" ჰანგები. ილიჩი სცენაზე ავიდა.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! მომილოცავს ახალი წელი! — მიმართა ვლადიმერ ილიას-ძემ შეკრებილთ. ილიჩი სცენაზე იდგა, ხელი მაღლა აეღმართა და მისთვის ჩვეული დიმილით იქ მყოფთ აწყნარებდა. შემდეგ ვლადიმერ ილიას-ძემ გულთბილი სიტყვით მიმართა შეკრებილთ.

„ამხანაგებო, — თქვა ვლადიმერ ილიას-ძემ, — აი უკვე ნახევარი საათია, რაც ჩვენ ახალ წელში ვცხოვრობთ. უთუოდ ეს იქნება ძალზე ძნელი და ძალზე მკაცრი წელი. ჩვენ შეგვიძლია ეს გავითვალისწინოთ როგორც შინაგანი, ისე საერთაშორისო კონტრრევოლუციის მხრივ ცოფიანი თავდასხმების მიხედვით. მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ვერც ბატონი რიაბუშინსკები, რომლებიც ცდილობენ დაგვარწმუნონ სამოტაყეთა და შიმშილით, ვერც ბატონი კალედინები, რომლებსაც სურთ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის გასრესა, ვერავითარი იარაღის ძალით ვერ შეძლებენ განახორციელონ თავიანთი ეს „წმინდათა წმინდა" მისია. მომავალი ჩვენ გვეკუთვნის!"

ვ. ი. ლენინის სიტყვით გამხნევებულმა ადამიანებმა ხელში აიტაცეს იგი, მასთან ერთად აიტაცეს ნადეჟდა კონსტანტინეს ასულიც... დიდ ბელადს დაღლილობა სრულიად დავიავიწყდა. იგი შესანიშნავ ხასიათში დადგა. გარშემო მსხდომთ ეხუმრებოდა, ეხასებოდა. ახალგაზრდა ვალია ჩურაკოვამ იგი საეკეკოოდაც კი მიიწვია. მაგრამ ლენინმა ხუმრობით უთხრა, — დიდი სიამოვნებით ვიეკეკებდი თქვენთან. მაგრამ ჯობს ასაკით უფრო შესაფერი შეგეჩვიოთ. მე სიამოვნებით ვუთმობ ჩემს ხვედრ ბედნიერებას ჩემს მეგობარს და მან ჩურაკოვას იქვე მდგომი ახალგაზრდა მუშა წარუდგინა.

შემდეგ ლენინი მუშებმა საახალწლო სუფრასთან მიიწვიეს. ეს მართლაც დაუვიწყარი საღამო იყო როგორც ლენინისათვის, ისე ყველა იქ დასწრეთათვის.

1957 წლის 30 დეკემბერს, ლენინგრადში, კომკავშირის ქუჩაზე მდებარე № 22 სახლის ფასადზე, სადაც ვიბორგელთა ეს შეხვედრა მოწყოდა, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მემორიალური დაფა წარწერით „აქ შენობაში 1917 წლის 31 დეკემბერს (1918 წლის 13 იანვარს) გამოვიდა ვ. ი. ლენინი ახალი წლის საღამოზე ვიბორგის მხარის მუშებისა და წითელარმიელების წინაშე".

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, მოსკოვში (ძველი სოკოლნიკის პარკში), მშრომელთა ბავშვებისათვის გაიხსნა საატყეო სკოლა. აქ, 1919 წლის იანვრამდე ავადმყოფობის გამო მკურნალობდა და ისვენებდა ნ. კ. კრუპსკაია. ვ. ი. ლენინი ხშირად ნახულობდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს და ყოველ მოსვლაზე ესაუბრებოდა სკოლის თანამშრომლებს და ბავშვებს. ისინი ძალიან შეეჩვივნენ ვლადიმერ ილიას-ძეს და მხურვალედ შეიყვარეს იგი.

1919 წლის 19 იანვარს სკოლაში მოეწყო საახალწლო ნაძვისხე: ლენინის მითითებით წინა დღეს ბავშვებისათვის საჩუქარი მოიტანეს. ვ. ი. ლენინი სკოლის თანამშრომლების მიწვევით ბავშვთა საახალწლო ნაძვისხეზე თავის დასთან მ. ი. ულიანოვასთან ერთად მივიდა. როგორც კი ლენინი დარბაზში გამოჩნდა, ბავშვები შემოეხვივნენ და მთელი საღამო გვერდიდან არ მოშორებიან.

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის ვ. ლ. ბონჩ-ბრუევიჩის მოგონებებში ვკითხულობთ: „ბავშვთა დღესასწაულზე ვ. ი. ლენინი გულწრფელად მხიარულობდა, იცინოდა და ნორჩებთან ერთად მღეროდა კიდეც. პატარები მრავალ შეკითხვას აძლევდნენ ვლადიმერ ილიას-ძეს. იგი ასწრებდა ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას, ხუმრობდა, გონებამახვილობდა, შემდეგ კი თვითონაც უსვამდა კითხვებს, აძლევდა მათ გამოცანებს. განსაცვიფრებელი ის იყო, თუ საიდან იცოდა და ახსოვდა დიდ ლენინს ყველაფერი ეს".

ბავშვები ვ. ი. ლენინს თავის უახლოეს ამხანაგად თვლიდნენ. ბავშვებმა ილიჩი ჩაიწე მიიწვიეს, მურაბის სთავაზობდნენ, გულუხვად უმასპინძლდებოდნენ. ყველას სურდა, რომ თავისებურად როგორმე ესიამოვნებინა ძვირფასი სტუმრისათვის. ვ. ი. ლენინი ბავშვებს თავისი ხელით უსახამდა ჩაის, აკვირდებოდა მათს ყოველ მოქმედებას. ილიჩმა თითქმის ყველა ბავშვის სახელი ზეპირად ისწავლა. პატარები შენობით მიმართავდნენ მას. დაათვალიერებინეს ეხეტიკური აღზრდის მუზეუმის ექსპონატები, უჩვენეს ჩიტების, თაგვების, ციყვებისა და სხვა ცხოველებისა და ფრინველების ფიტულები და საერთოდ ყველაფერი, რაც კი საყურადღებო გააჩნდათ.

ვ. ი. ლენინს ბავშვებმა მიუტანეს თავიანთი ნახატები და ჟურნალები, რომელსაც წასაკითხავად ჩვეულებრივ არავის არ აძლევენდნენ. ვლადიმერ ილიჩი ყოველმხრივ გეკეცნო მათს საქმიანობას. წასვლისას კი გულთბილად გამოეთხოვა სკოლის ყველა თანამშრომელს და ბავშვს. მოსწავლეებმა სთხოვეს ვ. ი. ლენინს, რომ იგი კიდევ მრავალჯერ სწვეოდა სტუმრად მათს სკოლას.

1919 წლის 31 დეკემბერს ვ. ი. ლენინი, ნ. კ. კრუპსკაიასა და მ. ი. ულიანოვასთან ერთად მოსკოვის ბაუმანის (ყოფილი ბასმანის) რაიონის მუშათა საახალწლო საღამოზე მოვიდა. დიდმა ბელადმა შეკრებილთ მოკლე სიტყვით მიმართა, რომელშიც შეეხო ფრონტზე წითელი არმიის გამარჯვებასა და ეკონომიურ რღვევასთან მუშათა კლასის ბრძოლის ამოცანებს. ვ. ი. ლენინი 1919 წლის 31 დეკემბერს ნ. კ. კრუპსკაიასა და მ. ი. ულიანოვასთან ერთად დაესწრო აგრეთვე მუშათა საახალწლო საოპერეტოს, როგოუსკის, ხიმონოვსკისა და პრესნიას რაიონებში.

ნ. კრუპსკაია იგონებს: „ვლადიმერ ილიას-ძეს უყვარდა მისთვის საინტერესო საკითხებზე ჩვენებთან საუბარი. დიდი ინტერესით ისმენდა მათს მოსაზრებებს, უკერდებოდა, თუ როგორ უდგებოდნენ ისინი ამა თუ იმ საკითხს. ამიტომ ყველა მისი სიტყვა ასევე მახსოვრდება და გასაგები იყო მუშებისათვის. ... ... 1920 წელს. საიდანაც, ...

აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი



საბჭოთა მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სახელგანთქმული საბჭოთა მეცნიერი, თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი და მსოფლიოში აღიარებული ფიზიოლოგი, ქართული ფიზიოლოგიური სკოლის ფუძემდებელი და ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე აკადემიკოსი ივანე სოლომონის-ძე ბერიტაშვილი.

ამა წლის 10 იანვარს მას დაბადების 90 წელი უსრულდებოდა. მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა ემზადებოდა ზეიმით აღენიშნა ეს შესანიშნავი თარიღი, მაგრამ ავადმყოფობამ მოულოდნელად იმსხვერპლა ახალგაზრდული გატაცებით მომუშავე, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მეცნიერებისა და თავისი მოწაფეებისათვის მზრუნველი ადამიანი. სულ ახლახან გამოვიდა მისი მონოგრაფიის ახალი შევსებული გამოცემა, რომელშიც ასახულია მეხსიერების პრობლემის უმნიშვნელოვანესი საკითხები და მოცემულია თვით ბერიტაშვილისა და მისი მოწაფეების უახლესი გამოკვლევების შედეგები. ამ წიგნის პირველმა გამოცემამ, რომელიც ინგლისური თარგმანით გამოქვეყნებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, საერთაშორისო აღიარება ჰპოვა და უკვე შევიდა თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიის საგანძურში.

მთელი თავისი ცხოვრება, განსაკუთრებული ენერგია და ნიჭი აკადემიკოსმა ივანე ბერიტაშვილმა მიუძღვნა მეცნიერებისადმი თავდადებული, უანგარო სამსახურის კეთილშობილურ საქმეს. მეცნიერების წინსვლას ის განიცდიდა როგორც საკუთარ სიხარულს. ამიტომ იყო, რომ ყოველგვარი ანტიმეცნიერული მოვლენები მასში იწვევდა შეურიგებელ, პროტესტს და სინანულს. აკადემიკოსმა ი. ბერიტაშვილმა თავისი ფუნდამენტური გამოკვლევებით მნიშვნელოვნად გაამდიდრა და წინ წასწია კუნთოვანი და ნერვული სისტემის ფიზიოლოგია. მან შექმნა კვლევის ორიგინალური მიმართულება თავის ტვინის ინტეგრაციული მოქმედების შესწავლაში. და თუ დღეს ნეიროფიზიოლოგია და ნეიროფსიქოლოგია წარმატებით იკვლევს მეხსიერების და აზროვნების კარდინალურ საკითხებს, ამაში დიდია ივანე ბერიტაშვილის დამსახურება.

ი. ბერიტაშვილი დაიბადა 1885 წლის 10 იანვარს სიღნაღის მაზრის სოფელ ვეჯინში. დაწყებითი განათლება მიიღო თელავის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. დემოკრატიული იდეებით გატაცებული ახალგაზრდა 1905 წელს შედის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და ხშირად მონაწილეობს ახალგაზრდების საპროტესტო გამოსვლებში. 1906 წელს ი. ბერიტაშვილმა წარმატებით ჩააბარა გამოცდები სიმწიფის ატესტატზე და ამავე წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. ი. ბერიტაშვილმა, როგორც მონდომებულმა და ნიჭიერმა ახალგაზრდამ, თავიდანვე მიიპყრო პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება, ამიტომ იმ დროისათვის საქვეყნოდ ცნობილმა ფიზიოლოგმა ნიკოლოზ ვედენსკიმ ის, ჯერ კიდევ სტუდენტი, თავის ლაბორატორიაში მიიწვია და დაავალა მოძრაობითი რეაქციების ცენტრალური კოორდინაციის შესწავლა. მალე ი. ბერიტაშვილმა თავი გამოიჩინა როგორც ბრწყინვალე ექსპერიმენტატორმა. მისმა პირველმა მეცნიერულმა გამოკვლევამ ზურგის ტვინის რეფლექსური მოქმედების კოორდინაციის საკითხზე, რომელიც 1910 წელს დაიბეჭდა პეტერბურგის ბუნებისმეტყველთა საზოგადოების შრომებში, სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ამის შემდეგ დაიწყო ი. ბერიტაშვილის ბრწყინვალე მეცნიერული მოღვაწეობის ხანგრძლივი პერიოდი. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ი. ბერიტაშვილი ნ. ვედენსკიმ საპროფესოროდ მიმზადებისათვის დატოვა ფიზიოლოგიის კათედრაზე, სულ მოკლე ხანში ჯერ უაზანში პროფ. ა. სამოილოვთან, ხოლო შემდეგ ჰოლანდიაში რ. მაგნუსთან ი. ბერიტაშვილმა წარმატებით აითვისა ნეიროფიზიოლოგიური კვლევის უახლესი მეთოდები. ამ მეთოდების წარმატებით გამოყენების შედეგად ი. ბერიტაშვილმა გამოაქვეყნა შრომათა სერია, რომელმაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერს საერთაშორისო აღიარება მოუპოვა. 1915 წელს ი. ბერიტაშვილი მიიწვიეს ოდესის უნივერსიტეტში ფიზიოლოგიის კათედრის დოცენტად. 1919 წელს ი. ბერიტაშვილი დაბრუნდა საქართველოში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ის სათავეში ჩაუდგა ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრას და შშობლიურ ენაზე შექმნა ფიზიოლოგიის სრული კურსის სანიმუშო სახელმძღვანელო. ი. ბერიტაშვილმა პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად გაშალა ინტენსიური ექსპერიმენტული მუშაობა და თავის ირგვლივ შემოიკრიბა ფიზიოლოგიის საკითხების კვლევით დაინტერესებული ახალგაზრდები. ასე ჩაეყარა საფუძველი ფიზიოლოგიის დარგში ორიგინალურ სკოლას, რომელიც დღეს საყოველთაო აღიარებით სარგებლობს.

აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის მეცნიერული ინტერესები მოიცავდა ზოგადი ფიზიოლოგიის თითქმის ყველა პრობლემას.

განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა აკადემიკოსმა ი. ბერიტაშვილმა ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების კანონზომიერებათა დადგენაში. მან თავისი უალრესად ორიგინალური მიმართულება შექმნა ჯერ კიდევ მაშინ, როცა თავის ტვინის ფიზიოლოგიაში ნაყოფიერად მუშაობდნენ ისეთი დიდი მეცნიერები, როგორც ვ. მ. ბეხტერევი და ი. პ. პავლოვი.

აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი ჩვენს ქვეყანაში, ვინც დაიწყო მეხსიერების პრობლემის შესწავლა. თავის ფუნდამენტურ გამოკვლევებში მან ახლებურად წარმოადგინა თავის ტვინის სტრუქტურათა როლი მეხსიერების პროცესებში. მისი და მისი მოწაფეების მიერ გამოკვლეულნი მრავალი სამეცნიერო გამოკვლევა დიდი შრომის ნაყოფიერ შედეგს წარმოადგენს, რომელიც მათ ამ პრობლემის დასამუშავებლად უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გასწიეს.

65 წლის მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე აკადემიკოსმა ივანე ბერიტაშვილმა გამოაქვეყნა 380-ზე მეტი შრომა, მათ შორის 27 მონოგრაფია ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. ფუნდამენტური მონოგრაფიებისათვის მას სხვადასხვა დროს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია, ხერხნოვის სახელობის პრემია და პავლოვის სახელობის პრემია.

განსაკუთრებით დიდია აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის დამსახურება საქართველოში მეცნიერული კადრების აღზრდის დარგში. დღეს საქართველოში არ არის მეცნიერი-ფიზიოლოგი, რომელიც არ იყოს მისი მოწაფე ან მისი მოწაფის მოწაფე.

აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი მეცნიერების დიდი ორგანიზატორი იყო. ჯერ კიდევ 1934 წელს თბილისის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის ბაზაზე მისი ინიციატივით შეიქმნა ბიოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც 1935 წელს გადაკეთდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტად. ი. ბერიტაშვილი სიცოცხლის ბოლომდე ამ ინსტიტუტის მეცნიერი-ხელმძღვანელი იყო.

აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების მონაწილე და მისი ბიოლოგიურ- და სამედიცინო მეცნიერებათა განყოფილებების ორგანიზატორი. 1937 წელს ი. ბერიტაშვილმა ჩამოაყალიბა საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოება და უცვლელად ხელმძღვანელობდა მას. ი. ბერიტაშვილის ინიციატივით 1937 წელს თბილისში მოწვეულ იქნა ფიზიოლოგთა საკავშირო VI ყრილობა. ის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია ცნობილი „ბაგრის საუბრებისა“, სადაც პერიოდულად ჯამდებოდა ნეიროფიზიოლოგიური მეცნიერების ყველაზე აქტუალური პრობლემების შესწავლის შედეგები. ამ კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა და საზღვარგარეთის ქვეყნების ცნობილი მეცნიერები.

აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის დიდმა მეცნიერულმა დამსახურებამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა. ის არჩეული იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის, ამერიკის ელექტროენცეფალოგრაფიული საზოგადოების, ინგლისის ფიზიოლოგთა საზღვაო საზოგადოების, ტვინის შესწავლის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდიუმის, ამერიკის ბიოლოგიური ფსიქიატრიის საზოგადოების და სხვა საზოგადოებათა საპატიო წევრად.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ღვაწლი სამშობლოსა და მეცნიერების წინაშე. მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. დაჯილდოებული იყო ლენინის სამი და შრომის წითელი დროშის ორი ორდენითა და მრავალი მედლით. ი. ბერიტაშვილი იყო საქართველოს სსრ ოთხი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების („ცოდნა“) პრეზიდიუმის წევრი. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ბიოლოგიის სექტორს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამერიკაკავკასიის ფილიალის ბიოლოგიის სექტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საბუნებისმეტყველო, ბიოლოგიისა და მედიცინის განყოფილებებს.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი დიდი მეცნიერი და მოქალაქე, რომელმაც საშვილიშვილო კვალი დატოვა საბჭოურ მეცნიერებაში. მისი სახელი შთამომავლობას მუდამ ექნება მეცნიერებისა და ხალხის სამსახურისათვის თავდადებული ადამიანის სიმბოლოდ.

პ. ბილაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, პ. მელნიკოვი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ა. ჩურკინი, გ. ქოფენიძე, გ. ჯავახიშვილი, თ. მოსაშვილი, შ. ყარყარაშვილი, ო. ჩერქეზია, ფ. შარტავა, მ. კელდიში, ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, ვ. ტიმაკოვი, ე. კრეპანი, ი. აბაშიძე, ზ. ახვლედიანი, ა. ბაკურაძე, ს. დურმიშიძე, კ. ერისთავი, კ. ზავრიევი, ი. ზედგინიძე, ა. ზურაბაშვილი, ნ. კეცხოველი, ზ. კვაჭაძე, ნ. ლანდია, გ. ლოგშანიძე, ა. როიტბაკი, მ. საბაშვილი, ე. სეხნიაშვილი, ი. ტატიშვილი, ე. ფიფია, პ. ქომეთიანი, ა. შანიძე, ა. ჩიჭობავა, დ. ჩხიკვიშვილი, ე. ხარაძე, ა. ჯანელიძე, გ. ჯიბლაძე.

დიდი მეცნიერის უკანასკნელი სიტყვა



ჯერ დასცალდა დიდებულ მამულიშვილს, საუკუნის გამოჩენილ მეცნიერს ივანე ბერიტაშვილს მისალმებოდა თავის ერს ამ სიტყვებით: „ჩემს ერს ვუსურვებ უკვდავებას მრავალამიერ, გამრავლებას, სასახელო შვილების დაზრდას, მშვიდობას, სიხარულს, სიბატიოს ყველა ოჯახისათვის, სიკეთეს და სულის სიხალეტაკეს თქვენი ივანე ბერიტაშვილი“.

დიახ, ჯერ დასცალდა გამოექვეყნებინა ეს კეთილი სულის ღაღადისი, იგი ახალი წლის წინაღამეს გარდაიცვალა. გარდაიცვალა, მაგრამ არ მომკვდარა, იგი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა მეცნიერებისათვის, ვინი სახელიც შორს გაუტანია, როგორც ფიზიოლოგთა ქართული სკოლის მეთაურს.

მტკიცე რწმენით

კუბის რევოლუციის მე-16 წლისთავი

1 იანვარს შესრულდა კუბის რევოლუციის მე-16 წლისთავი. კუბის მშრომელებთან ერთად ამ სახელოვან თარიღს აღნიშნავენ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხები, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ფიდელ კასტროსა და მის თანამებრძოლთა ხელმძღვანელობით აჯანყებულთა ძალების ისტორიული გაძაბოჯვეა ძოაყავებდა კუბელი ხალხის საუკუნეობრივი მისწრაფების განხორციელებას, ხალხისა, რომელიც ახლა თავისი ქვეყნისა და თავისი ბედის სრული ბატონ-პატრონი გახდა. ამასთან ერთად დასავლეთ ხაბეკარაფეიოონი კაიკეული სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებად კიდევ ეოთაელ დამაჯერებლად დაადასტურა საზოგადოებრივი განვითარების კანონების გარდუვალობა, რომლებიც საერთოა ყველა ქვეყნისა და ხალხისათვის. კვლავ დადასტურა, რომ აწოოია ძაოქესტულ-ლენინური შეფასება ჩვენი ეპოქისა როგორც კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გადასვლის ეპოქისა.

თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს — განთავისუფლების დღეს კუბელები ეგებებიან დიდი შრომითი აღძავლობის, პარტიისა და ხალხის სულ უფრო მტკიცე ერთიანობის ვითარებაში.

სულ უფრო ღრმა, მრავალმხრივი და მნიშვნელოვანი ხდება საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობა, როელიც ეძყარება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ამ მხრივ 1974 წელი, რომელიც აღინიშნა სკკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ისტორიული ვიზიტით კუბაში. „ბაქანება, რომელსაც საბჭოთა კავშირ-კუბის კავშირურთიერთობამ მიაღწია, — ხაზს უსვამდა ლ. ი. ბრეჟნევი, — ნებას გვაძლევს ვთქვათ, რომ სსრ კავშირსა და კუბას შორის ოკეანის უკიდეგანო სივრცეებზე ახლა გადებულია მტკიცე, განიერი, საიმედო ხიდი. მოძრაობა ამ ხიდზე მეუფერხებლად და რიტმულად ხორციელდება. ეს, ამხანაგებო, მშვიდობის, მეგობრობისა და ძმობის ხიდია“!

არასოდეს არ ყოფილა ასე მტკიცე კუბის საერთაშორისო პოზიციები. მის ინტერესებსა და უშიშროებას საიმედოდ იცავს არა მარტო კუბის კომპარტიის პოლიტიკა და მისი ხალხის გმირობა, არამედ აგრეთვე სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერა და პოლიტიკური წონა.

საბჭოთა ადამიანები მხურვალედ ულოცავენ მოძმე კუბელ ხალხს მის ეროვნულ დღესასწაულს და ახალ დიდ წარმატებებს უსურვებენ სოციალისტური მშენებლობის გზაზე. (საკდესი).

ადაპტურებს პრესა

სქანდალი ძლიერდება

ნიუ-იორკი, (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო იზრდება სკანდალი იმასთან დაკავშირებით, რომ პრესამ გამოაქვეყნა ახალი მასალები, რომლებიც ამხელენენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობას. იგი კანონის დარღვევით საიდუმლოდ უთვალთვალებდა ათასობით ამერიკელ მოქალაქეს. თავისი ბინაჟური საქმიანობის კვალის დასაფარავად ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობა, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ თქმით, ახლა შეუდგა აპარატის „გარდაქმნას“.

როგორც გაზეთი იუწყება, დღეიდან გადადგება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სამი მაღალი თანამდებობის მოხელე. მათ შორის არიან კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსის პირველი მოადგილე რეიმონდ როჯა, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოპერატიული სამმართველოს ხელმძღვანელი ნიუტონ მილერი და კონტრდაზვერვის განყოფილების ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის ოფიცერი უელმ ჰუდი.

როგორც ცნობილია, გასულ კვირაში იძულებელი გახდა გადამდგარიყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კონტრდაზვერვის განყოფილების თვით ხელმძღვანელი ჯეიმს ენგლტონი, რომელიც, როგორც პრესა წერს, ხელმძღვანელობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში „საეჭვო პირთა“ თვალთვალის ყველა ოპერაციას.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კონტრდაზვერვის განყოფილებაში ადგენდნენ კარტოთეკას ცალკეულ მოქალაქეებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, რომლებზეც ეჭვი ჰქონდათ მიტანილი, რომ „ძირგამომთხრელ საქმიანობას“ ეწეოდნენ. დოსიეში მოხვედრილთა შორის იყო 10 ათასამდე ამერიკელი, მათ შორის თვალსაჩინო მეცნიერნი და ცალკეული კანონმდებელნი. ჟურნალი „ტაიმი“ ამ დღეებში იუწყებოდა, რომ 60-იან წლებში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტების თვალთვალის ობიექტი იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს წევრი უ. დუგლასი, გარდაცვლილი სენატორი ე. ლონგი, კონგრესმენი კ. პეპერი და კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ყოფილი წევრი ჯ. გალჰერი.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობის სკანდალური მხილება ფართო აღშფოთებას იწვევს ქვეყანაში. პრესის ბევრი ორგანო, კონგრესმენები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები მოითხოვენ ბოლო მოუღონ „ნადირობას კუდიანებზე“, რომელსაც ეწეოდა და ახლაც ეწევა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო „ეროვნული უშიშროების“ ნიღბით.

ამბები • ფაქტები

ნიუ-იორკი

გაკაკდგნენ მაღალი თანამდებობის პირები

კადის-აბება

შეტევა უცხოეთის კაპიტალზე

ისლამაბადი

დაიდუპა 4.700 კაცი

ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებში იმართება საპროტესტო მიტინგები მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მშრომელთა მდგომარეობის გაუარესებისაკენ არის მიმართული.

მშრომელები მოითხოვენ სასწრაფო ზომების მიღებას უმუშევრობისა და ფასების ზრდის წინააღმდეგ.

სურათზე: მასობრივი მიტინგი კოპენჰაგენში.

— ლანია —

ი. ფაჰმი: მოლაპარაკება ნაყოფიერი იყო

საუბარი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ი. ფაჰმისთან

□

მადლობას მოვახსენებ საბჭოთა ხელმძღვანელობას, რომელმაც მოგვიწვია მე და ჩემი კოლეგა სამხედრო მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი მუჰამედ ალდელ განი-ალ-გამასი სსრ კავშირში და საშუალება მოგვცა დაგვემყარებინა ინტენსიური კონტაქტები ყველა დარგში ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განმტკიცებისათვის,—განაცხადა საკდესის მიმომხილველთან ი. კორნილოვთან საუბარში ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისმაილ ფაჰმიმ. მოლაპარაკებს, რომელსაც ვეწეოდით სამი დღის განმავლობაში საბჭოთა ხელმძღვანელებთან, იყო ნაყოფიერი და კონსტრუქციული. იგი მიმდინარეობდა მეგობრულ ვითარებაში, რომელიც ასახავს ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების მეგობრობასა და თანამშრომლობას. დარწმუნებული ვართ, რომ ეს მოლაპარაკება წვლილია ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეში.

დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ხელმძღვანელები, რომლებთანაც მოლაპარაკება გვქონდა, და უწინარეს ყოვლისა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, დიდად ესწრაფვიან განამტკიცონ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა და ხელშემწყობი ატმოსფერო შექმნან ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის, ხაზგასმით აღნიშნა ი. ფაჰმიმ. ჩვენ აგრეთვე დავრწმუნდით, რომ მოლიანად უმეტესი მხარს არაბეთის ქვეყნების ხალხთა ბრძოლას მათთვის ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებისა და პალესტინის არაბი ხალხის ეროვნულ უფლებათა უზრუნველყოფისათვის, რაც ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის უცილობელი პირობაა.

მინდა აგრეთვე მადლობა გადავუხადო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ა. ა. გრომიკოსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს მარშალ ა. ა. გრეჩკოს და „მაყოფილებით აღვნიშნო თანამშრომლობის ის გულწრფელი სულისკვეთება, რომელიც ვიგრძენით სსრ კავშირში ჩვენი ვიზიტისა და გამართული მოლაპარაკების დროს, განაცხადა დასასასრულ ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

(საკდესი).

ეგვიპტე

მეგობრული თანამშრომლობა

კაირო, 2 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან დაბრუნებისა შემდეგ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ფაჰმი და საძხედრო მინისტრი მ. ა. გ. აღ-გამასი მიიღო ეგვიპტის პრეზიდენტმა ა. სადათმა. მათ გააცნეს საბჭოთა ხელმძღვანელებთან თავიანთი შეხვედრების შედეგები.

კაიროს პრესა დღეს ბეჭდავს ი. ფაჰმის განცხადებას, რომელმაც ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ურთიერთობის ნაყოფიერ და კონსტრუქციულ ხასიათს და გულითად კითხვას, რომელშიც მიმდინარეობდა მოლაპარაკება მოსკოვში. გაზეთები გამოყოფენ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხელმძღვანელები დიდად ესწრაფვიან საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ურთიერთობის განმტკიცებისა და ამ ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის საჭირო პირობების შექმნას.

ეთიოპია

ბანკები ნაციონალიზებულია

ადის-აბება, 2 იანვარი. (საკდესი). ეთიოპიაში მოქმედი ყველა კერძო ბანკი, სადაზღვევო კომპანია და სხვა საფინანსო დაწესებულება ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული კომიტეტის გადაწყვეტილებით ნაციონალიზებულია, ამას იუწყება დღეს ეთიოპიის რადიო.

ეს საინტერესოა

ახალი ნელი ატლანტიკაში

დაკარი, 2 იანვარი. (საკდესი). ერთხანს ორივე ნავი ერთმანეთის გვერდით მიდიოდა, ერთად აწყდებოდა ზურმუტტოვან ტალღებს. ზოგჯერ მათ წინ უსწრებდა დელფინების გუნდი. ისინი ხან წინ უსწრებდნენ, ხან გვერდით მიაყვებოდნენ ნავებს, ხოლო როცა ხაპირისაგან დამორეაით კუოსი გადაუჭრეს მფრინავმა თევზებმა, წითელალმიახმა ნავმა შეაჩერა სვლა, მარტოდ დატოვა ოოვლივით თეთრაფრიანი კანჯო. მალე ერთადერთმგზავრიანი პანია გემი გაუჩინარდა სამხრეთ ატლანტიკის ტალღებს შორის.

ასე დაიწყო ახალი წლის პირველ დღეს მამაცი პოლონელი მოგზაურის პრეფესიონალ ჟურნალისტის იაცეკ პალკევიჩის არაჩვეულებრივი მოგზაურობა ატლანტიკის ოკეანეში. პოლონური ყოველკვირეული „კულისის“ 32 წლის თანამშრომელი იაცეკ პალკევიჩი გენუიდან სავაჭრო ვემით მოვიდა სენეგალის დედაქალაქში, დაკარში მან დაამთავრა უკანასკნელი მზადება აფრიკა-სამხრეთ ამერიკის მარშრუტით მარტოდ მოგზაურობისათვის.

დაუდგრომელი პოლონელი ჟურნალისტი თავისი იალქნიანი ნავით მიდის რიო-დე-ჟანეიროში, სადაც თებერვალში გაიმართება ტრადიციული კარნავალი.

ინდონეზია

პრეზიდენტის განცხადება

ჯაკარტა, 2 იანვარი. (საკდესი). ინდონეზიის პრეზიდენტმა სუჰარტომ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოსკოვში ხელმოწერილ შეთანხმებას სსრ კავშირისა და ინდონეზიის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. სუჰარტომ თქვა, რომ მას აქვს იმის იმედი, რომ კიდევ უფრო განვითარდება თანამშრომლობა ინდონეზიასა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის.

ინდოეთი

ინდოეთ-ბანგლადეშის ურთიერთობა

დელი, (საკდესი). ინდოეთისა და პორტუგალიის მთავრობებმა მიიღეს გადაწყვეტილება საელჩოთა დონეზე ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ. ეს გამოაცხადეს დღეს აქ ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ი. ბ. ჩავანისა და ინდოეთში ვიზიტით მყოფ პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მარიუ სოარეშის მოლაპარაკების დამთავრების შედეგად.

მიწისძვრის შედეგები

ისლამაბადი, (საკდესი). სულ ცოტა ცხრა სოფელი დაანგრია მიწისძვრამ პაკისტანის ჩრდილო-აღმოსავლეთში. პაკისტანის პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც ტრაგედიის ადგილას ჩავიდა, წერს, რომ ყველაზე დიდი ნგრევა აღინიშნა 80 კილომეტრი სიგანის ზონაში ყარაყორუმის გზატკეცილის გასწვრივ. ამ რაიონში დაახლოებით 50 ათასი კაცი ცხოვრობს. აქედან 4.700-ზე მეტი კაცი დაიღუპა.

სულ მთლიანად ან ნაწილობრივ დაინგრა 8 ათასზე მეტი სახლი. 70 კილომეტრი სიგრძის მონაკვეთზე ყარაყორუმის გზატკეცილი ჩახერგა ზვავმა.

ჰ. შმიდტის განცხადება

ბონი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლისას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰ. შმიდტმა გამოთქვა რწმენა, რომ 1975 წელს „მოძყევება შემდგომი პროგრესი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში“. მან განაცხადა აგრეთვე, რომ ამა წელს კიდევ უფრო შენელდება დაძაბულობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობაში.

კანცლერმა თქვა, რომ ეკონომიკის დარგში განვლილი წელი მძიმე იყო დასავლეთ გერმანიის მოსახლეობისათვის. მან აღნიშნა, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვნად იზრდება უმუშევრობა.

ჯ. კალაგენის აფრიკის ტურნე

ლუსაკა, (საკდესი). ინგლისის საგარეო საქმეთა და ერთა თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი ჯეიმს კალაგენი ჩამოვიდა ზამბიის დედაქალაქში. ეს არის პირველი ეტაპი მისი 10 დღის მოგზაურობისა აფრიკაში, რომლის დროს იგი ზამბიის გარდა ეწვევა ბოტსვანას, მალავის, ტანზანიას, კენიასა და ნიგერიას. პოლიტიკური მეთვალყურენი ამ მოგზაურობას უკავშირებენ უწინარეს ყოვლისა ლონდონის ახალ დიპლომატიურ ნაბიჯებს ინგლის-როდეზიის „კონსტიტუციური კონფლიქტის“ მოსაგვარებლად.

ჩილე

ხუნტის მხეცობა

□

ამხილებენ დიქტატურის სისასტიკესა და სადიზმს

პავანა, 2 იანვარი. (საკდესი). ჩილელი ხალხის ანტიფაშისტური ბრძოლისადმი სოლიდარობის კომიტეტმა, რომელიც კუბაში მოქმედებს, პრეს-კონფერენცია გამართა აქ. ჩილეს დაღუპული პრეზიდენტის სალვადორ ალიენდეს ქალიშვილმა იეატრის ალიენდემ, კომიტეტის თავმჯდომარემ ფერნანდოსმა და სხვა ჩილელმა პატრიოტებმა სასტიკად დაგმეს ფაშისტური ხუნტა, რომელიც განაგრძობს ხასხლითან რეპრესიებს ჩილეს დემოკრატიული და პროგრესული ძალების წინააღმდეგ. მათ ხაზი გაუსვეს, რომ მხეცურად აწამებენ და აბუჩად იგდებენ ორა მარტო მოზრდილებს, არამედ აგრეთვე ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს. ფართოდ შეიმოლებულია პრაქტიკაში პოლიტიკური პატიმრების წამება ახლო ნათესავებისა და ახლობლების თანდასწრებით. ბეატრის ალიენდემ აღნიშნა, რომ ბევრმა მათგანმა ვერ გაუძლო წამებას და სული დალია.

სისასტიკისა და სადიზმის ახალი ესკალაცია ჩილეში, ხაზს უსვამდნენ პრეს-კონფერენციაზე გამოსულნი, მოწმობს ხუნტის სისუსტეს, მის შიშს ჩილელი პატრიოტებისადმი საერთაშორისო სოლიდარობის წინაშე, რომელიც დღითიდღე მტკიცდება.

პრეს-კონფერენციის მონაწილეებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ფაშისტურ რეჟიმს ჩილეში გარდუვალად კრახი მოელის, რომ ჩილელი ხალხი აუცილებლად გაიმარჯვებს.



ფოტოინფორმაცია

აშშ. ამერიკელ მშრომელთა ოჯახების ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწვება გადასახადების განუწყვეტელი ზრდა. გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 1967 წლიდან საშემოსავლო გადასახადი 65 პროცენტით გაიზარდა, რაც რიგითი ამერიკელებისა საყოველთაო აღშფოთებას იწვევს.

სურათზე: ნიუ-იორკის მცხოვრებლები პროტესტს აცხადებენ გადასახადების ზრდის წინააღმდეგ.

საკდესის ფოტო.

ტელეტაიპის ლენტიდან

2 იანვარი

საკდესი გვატყობინებს

აღადგინეს დიპლომატიური ურთიერთობა

დელი, (საკდესი). ინდოეთისა და პორტუგალიის მთავრობებმა მიიღეს გადაწყვეტილება საელჩოთა დონეზე ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ. ეს გამოაცხადეს დღეს აქ ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ი. ბ. ჩავანისა და ინდოეთში ვიზიტით მყოფ პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მარიუ სოარეშის მოლაპარაკების დამთავრების შედეგად.

მიწისძვრის შედეგები

ისლამაბადი, (საკდესი). სულ ცოტა ცხრა სოფელი დაანგრია მიწისძვრამ პაკისტანის ჩრდილო-აღმოსავლეთში. პაკისტანის

ტკბილი ნიბბათი

თელავიდან ინგლისა და რუმინეთში

თელავი. (საკ. კორ.). თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს საკონსერვო ქარხნის მშრომელებმა. მათ წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.160 ათასი მანეთის ნაცვლად 20 დეკემბრისათვის გამოუშვეს 2.761 ათასი მანეთის პროდუქცია, ამავე პერიოდისათვის პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა შეასრულეს 115 პროცენტით.

ქარხანამ ექვსი მილიონი პირობითი ქილის ნაცვლად უკვე გამოუშვა 8.087 ათასზე მეტი პირობითი ქილა კონსერვი.

თელავური ნაწარმი მარტო ჩვენს ქვეყნაში კი არა, საზღვარგარეთაც მოსწონთ. ქარხანას მიღებული აქვს დაკვეთა და ინგლისში იგზავნება 37.500 პირობითი ქილა კაკლის მურაბა, ხოლო რუმინეთში — 25 ათასი პირობითი ქილა ატმის ჯემი.

ბარათი აფრიკის კონტინენტიდან

ბოლოცვა — თანამემამულეებს

სამოგზაურო შორს — ალჟირში ვიმყოფები სამუშაოდ. მსურს გაზეთ „კომუნისტის“ სამუშაოებით ახალი წელი მივულოცო ჩემს თანამემამულეებს, საქართველოს მშრომელებს გეფიციერება და ფარმატებები ვუსურვო შრომითს და კირად ცოცხალებაში.

კონსტანტინე ურუშაძე,
ტრესტ „საქმიდროენერგომშენის“ მშენებელი ინჟინერი.

სალაღობო

ავწევთ ჭიქას...

გულიც სავსე, სუფრაც
სავსე,
სიტყვას ვისვრით მიზანში,
ავწევთ ჭიქას, მთვარე ლამის
ჩაგვივარდეს ჭიქაში.
გიდღეგრძელებთ
ხმელეთზურმუტს
და ცას — ახე მოწმენდილს,
შოთას სიტყვით
ამაღლებულს,
ბექას ხელით მოკეფილს.
ვით ეგების, ვით შეჭფერის
თანაშეზრდილს, თანამზეს,
მუხლს მოვუდრეკთ, ქუდს
მოვუხდით
წელს ვაცილებთ
განმსაზღვრელს.
მაინც რარიგ შეიცვალა
შენი ხმაც და კილოცა,
უპირველეს, უწინარეს
ამ ხმის შეცვლას გილოცავ!
აბა, როგორ არ ვიხარეთ
დნობა კვლავაც ყინულის,
გაუმარჯოს ალალ ხაქმეს
ვინც პატრონობს, ვინც
უვლის!
გაუმარჯოს დაღლილ
ხელებს,
დაღლილს შენი შენებით!
რა სიმაღლეს არ
დავძალავთ,
თუ გულდაგულ შევებით.
მიითლიდა, მიითვლიდა
ქორვაჭარი ფულებსა,
ადრე ჯობებს რომ გვახევდა,
ახლა... ვახევთ ეურებსა.
ნაკლი? ნაკლი ახლაცა
გვაქვს,
სამწუხაროდ, მრავალი,
ყელში ყველას როდი
ჩასდის
ჯერაც ლუკმა ალალი.
ზოგმა ქურჭი წამოისხა,
განზე დგომა არჩია,
თუმცა მისი „ნასეტყვარი“
ბევრგან ახლაც აჩნია.
ყველა როგორ
ჩამოვთვალოთ,
ყველას როგორ
მივწვდებით,
არა, თავბრუ როდი
გვესხმის
წინსვლითა და მიღწევით...
მეცხრე ხუთწლედს
ერთადერთი
რჩება მხოლოდ ბადეში,
მეცხრე ცაზე ასვლას, წელო,
ალბათ, არც შენ დაიშლი.
ემატება სახნისს ძალა,
ფართოდება გზაწვრილი,
საჭილდაო ქვას იტაცებს
ისევ შენი არწივი!
ხელ-ფეხ-გულ-სკამ-
ტვინუკუღმართს
დასცემ კვლავაც ელდასა,
მზეს — მზეჭაბუკს
შეაგებებ,
გეგმას — შემხვედრ
გეგმასა...
გულიც სავსე, სუფრაც
სავსე,
სიტყვას ვისვრით მიზანში,
ავწევთ ჭიქას, მთვარე
ლამის
ჩაგვივარდეს ჭიქაში!

ზაზა კაციაშვილი.

პროფესიონალი რევოლუციონერი

კ. ი. ხომერიკის დაბადების 90 წლისთავი

მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიამ შემოგვინახა უმიშარ რევოლუციონერთა ბევრი სახელი, რომლებსაც ხალხი მუდამ მადლიერების გრძნობით იხსენებს. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს პროფესიონალ რევოლუციონერს კონსტანტინე ივანეს-ძე ხომერიკს.

კ. ხომერიკი დაიბადა 1884 წელს, ოზურგეთის მაზრის სოფელ ჩოხსათში. მან ადრე დაიწყო შრომითი საქმიანობა, მუშაობდა ჯერ ბათუმში, შემდეგ — თბილისში, იარაღოვის მექანიკურ ქარხანასა და ამერიკაკავასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში. კ. ხომერიკმა თავისი რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო ბათუმში. 1901 წელს იგი რსდმ პარტიის წევრი გახდა.

კ. ხომერიკი აქტიურად მონაწილეობდა თბილისელ მუშათა 1901 წლის საპირველმისო დემონსტრაციაში, რომელსაც ლენინურმა „ისკრამ“ უწოდა „ისტორიულად ღირსშესანიშნავი მთელი კავკასიისათვის“. გაფიცვებსა და დემონსტრაციებში მონაწილეობისა და არალეგალური ლიტერატურის გავრცელებისთვის იმავე წლის ნოემბერში ჟანდარმერიამ იგი დააპატიმრა და განჯაში (ამჟამად კიროვაბადი) გადაასახლა, საიდანაც მალე გაიქცა. შემდეგ კ. ხომერიკი ეწევა სააგიტაციო მუშაობას გორის მაზრის გლეხებში, აგიტაციებს ფუოცლებსა და ბროკლამაციებს. 1904 წლის 10 ივნისს მას კვლავ აპატიმრებენ გორის ციხეში. ამჯერად კ. ხომერიკს მეტეხის ციხეში ამწყვდევენ. ერთი წლის შემდეგ იგი ახერხებს პატიმრობიდან თავის დაღწევას. მიუხედავად იმისა, რომ მას შედგენილ თვალს აფენენს პოლიცია, იგი კვლავ განაგრძობს რევოლუციურ მუშაობას. 1907 წელს კ. ხომერიკი თანამშრომლობს ბოლშევიკურ გაზეთებში „ჩვენს ცხოვრებასა“ და „დროში“, რომლებშიც აქვეყნებს სტატიებს პროფკავშირული მოძრაობის შესახებ. 1910 წლის აგვისტოში იგი დააპატიმრეს და როსტოვში გადასახლეს, საიდანაც ახერხებს გაქცევას და ბაკოში ჩასვლას.

1912 წლის დამლევს კ. ხომერიკი კვლავ დააპატიმრეს და გადაასახლეს სარატოვში, შემდეგ — ვოლსკში. აქ თანამშრომლობს გაზეთ „ვოლსკაია ჟიზნში“. აქედან 1913 წლის დეკემბერში არალეგალურად ჩამოდის თბილისში. აქ კ. ხომერიკი აქტიურად ჩაება არალეგალურ პარტიულ მუშაობაში, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ დააპატიმრეს და ქალაქ ვოლსკში დაბრუნეს.

მალე კ. ხომერიკი გადადის ცარიცინში, სადაც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა დემოკრატიული მიმართულების გაზეთ „ვოლგო-დონსკოი კრაის“ რედაქციაში. 1917 წლის იანვრიდან იგი ასტრახანშია, სადაც ხე-ტყის სახერხ ქარხანაში მუშაობს. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მას სარატოვში მოუსწრო, იმავე წლის მაისში იგი თბილისში ჩამოდის.

კ. ხომერიკი აქტიურად იბრძოდა საქართველოში მეხშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. 1918-1920 წლებში იგი სათავეში ედგა კომუჯრედს, ერთდროულად ხელმძღვანელობდა რკპ (ბ) კავკასიის საშხარეო კომიტეტის არალეგალურ სტამბას. 1920 წლის დეკემბერში მენშევიკურმა მთავრობამ კ. ხომერიკი დააპატიმრა. 1921 წლის დამდეგს, როდესაც საქართველოში მენშევიკების ბატონობას რეალური საფრთხე დაეშუქრა, კ. ხომერიკი სხვა ბოლშევიკებთან ერთად თბილისიდან გადაიყვანეს ჯერ ქუთაისის, შემდეგ კი ბათუმის ციხეში. მალე კი მთელ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ძველი ბოლშევიკი მისი ერთ-ერთი აქტიური მშენებელი გახდა. 1921 წლის აპრილიდან აგვისტომდე იგი ბათუმში სათავეში უდგას შრომის სახალხო კომისარიატს, 1921-1923 წლებში იყო აკარიდიტო ქალაქლდების დამზადების ექსპედიციის მმართველი, ხოლო 1924-1925 წლებში მუშაობდა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისრად.

მომდევნო წლებში, სხვადასხვა დროს, კ. ხომერიკი იყო გლეხთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს შეუფასებელი სალაროების მმართველი, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელმწიფო კრედიტის ხელმძღვანელი კომიტეტის თავმჯდომარე. 1922 წელს აძერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პირველმა ყრილობამ კ. ხომერიკი რკპ (ბ) XI ყრილობის დელეგატად აირჩია. იგი იყო საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

თვალსაჩინო პროფესიონალი რევოლუციონერის, სოციალიზმის გაძარჯვების საქმისათვის თავდადებული მებრძოლის კონსტანტინე ივანეს-ძე ხომერიკის ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს ქართველი ხალხის გულში.

ნ. ბურძენიძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
(საქინფორმი).

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲖᲣᲐ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ

დადგა ახალი წლის პირველი თვე — იანვარი. როგორი იქნება იგი; დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებშიც და მთაშიც ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მრავალწლიურ ნორმაზე მაღალი იქნება 1-3 გრადუსით.

1-10 იანვარი. ცვალებადი მოღრუბლულობა, დეკადის დასაწყისში და ბოლოს — ნალექი, იქროლებს აღმოსავლეთის ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით 13-18 გრადუსამდეც აიწევს, მთა რაიონებში კი ღამით 0-5, დღისით 10-15 გრადუსი სითბო იქნება.

11-20 იანვარს ღრუბლიანი ამინდია მოსალოდნელი, დეკადის პირველ ნახევარში — დროგამოშვებით ნალექი, ალაგ-ალაგ თოვლის სახით; იქროლებს ცვალებადი მიმართულების ქარი; ამ პერიოდის შუა ნაწილში დაბლობ რაიონებში ღამით 0-5 გრადუს ყინვას დაიჭერს, დღისით კი 4-9 გრადუსი სითბოა მოსალოდნელი. მთა რაიონებში ღამით კიდევ უფრო ეცივება — თერმომეტრი 5-10 გრადუს ყინვას უჩვენებს, ხოლო დღისით მინუს 2- პლუს 3 გრადუსს.

21-30 იანვარს — ცვალებადი მოღრუბლულობა, დეკადის ბოლოს — ნალექი, მთებში — თოვლის სახით.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობშიც და მთაშიც ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა ნორმაზე მაღალი იქნება ერთი-ორი გრადუსით.

1-10 იანვარი. ცვალებადი მოღრუბლულობა. დეკადის დასაწყისსა და ბოლოში — დროგამოშვებით ნალექია მოსალოდნელი, მთებში — თოვლი, ალაგ-ალაგ ნისლი. იქროლებს ცვალებადი მიმართულების ქარი. მტკვრის ხეობაში დასავლეთის ქარის სიძლიერე წამში 15-18 მეტრს მიაღწევს. ტემპერატურა: კახეთში ღამით 1-6, დღისით 10-15 გრადუსი სითბო, ქართლსა და მთებში ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 4-12 გრადუსი სითბო.

11-20 იანვარი. ძირითადად ღრუბლიანი ამინდებია მოსალოდნელი, ღოდადრო მოზვინდით. დეკადის პირველ ნახევარში შოვა ნალექი, ალაგ-ალაგ ნისლი, იქროლებს დასავლეთის ქარი წამში 15-18 მეტრი სიძლიერით; დეკადის მეორე ნახევარი უმეტესად უნალექო იქნება. დეკადის შუა ნაწილში დაბლობ და მთა რაიონებში ტემპერატურა ღამით მინუს 8-13 გრადუსამდე დაიწევს, დღისით კი ზოგან 3 გრადუსი სითბო აღინიშნება.

21-31 იანვარი. ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ. დაუბერავს ცვალებადი მიმართულების ქარი, ტემპერატურა დაბლობ და მთა რაიონებში — 3-8 გრადუსი ყინვა, დღისით 2-8 გრადუსი სითბო.

ს. ბერიძეა,
თბილისის ამინდის ბიუროს გრძელვადიანი პროგნოზების განყოფილების უფროსი.

კაუკაუებენ ნაკვის ზეები

ᲔᲖᲘᲐᲠᲣᲚᲐᲓ მორთული ნაძვისხეები კაშკაშებენ ჩვენს დედაქალაქში. ამ არდადეგების პერიოდში დიდი თუ პატარა ზეიმობს ახალი წლის მობრძანებას.

ერთ-ერთი ასეთი ნაძვის ხე მოუწყვიათ თბილისის ფილარმონიის საკონცერტო დიდ დარბაზში, სადაც ყოველდღიურად სამი კონცერტი იმართება. მასში მონაწილეობენ ფილარმონიის მსახიობები და ქორეოგრაფიული ანსამბლები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: თქვენ ხედავთ ამერკავკასიის რკინიგზის პიონერთა სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლის გამოსვლას დიდ საკონცერტო დარბაზში. (ხელმძღვანელი გ. ლაცაბიძე).

ბ. ᲑᲝᲒᲝᲜᲘᲐᲡ ფოტო.

„ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲐ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

რამდენიმე ხნის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა „ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲐ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲘᲙᲘᲡ“ მორიგი ტომი. ამ ცნობილი ენციკლოპედიის ახალ (მეთხუთმეტე) გამოცემაში გამოქვეყნებულია ქართველ ენათმეცნიერთა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ᲨᲐᲗᲐᲮ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫისა და პროფესორ ᲢᲝᲜᲝ ᲒᲣᲓᲐᲕᲐᲡ ვრცელი სტატია „ᲙᲐᲣᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲔᲜᲔᲑᲘ“.

სტატია, რომელიც დაიწერა ენციკლოპედიის მთავარ რედაქციის თხოვნით, შეეხება სამხრეთ (ქართულ-ქართველურ) და ჩრდილოურ კავკასიურ ენათა (აფხაზურ-ადიღურის, ჩაჩნურის, დაღესტნურის) ძირითად თავისებურებათა ანალიზს და მათი ურთიერთმიმართების საკითხებს.

ᲒᲣᲚᲗᲒᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲐᲪᲘᲚᲔᲡ

ᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). სოფელ სორის საზოგადოებრიობამ, პედაგოგიერმა კოლექტივმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ გულთბილი, საზეიმო გაცილება მოუწყვეს ამავე სოფლის სამუალო სკოლის ყოფილ დირექტორს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მასწავლებელს ი. კერვალიშვილს.

ღვაწმოსილი პედაგოგის ცხოვრებასა და ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობაზე ილაპარაკა საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ელ. კერვალიშვილმა. ამავდარს გულთბილი სიტყვებით მიმართეს პედაგოგმა თ. კერვალიშვილმა, მოსწავლეებმა მ. სულაძემ და ნ. ტაბუცაძემ.

იუბილარს სკოლის დირექციამ სამახსოვრო საჩუქარი გადასცა და ტკბილი, ბედნიერი ხიბერე უსურვა.

□

ᲒᲘᲬᲕᲔᲕᲗ „ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘ“

სოხუმი. (საკ. კორ.). დღითიდღე მზვინდება სოხუმის ერთ-ერთი ახალი საცხოვრებელი რაიონი ლენინოფის ტაფობი.

ამ დღეებში აქ გაიხსნა სპორტული საკონლის ახალი მაღაზია „ტურისტი“. მაღაზიის სავაჭრო დარბაზში, რომლის ფართობი 200 კვადრატულ მეტრს აღემატება, ძუშობს ოთხი სექცია ათი სამუშაო ადგილით.

მაღაზიაში ფართოდ გამოფენილია ფეხსაცმლეულეულობისა და სპორტის მოყვარულთათვის საჭირო საქონელი.

□

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ—ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ

მახარაძე. (საკ. კორ.). მკითხველებმა მიიღეს მხატვრულ-დოკუმენტური წიგნი „ბერლინზე გავლილი“. წიგნის ავტორია სოფელ მახარაძის საშუალო სკოლის მასწავლებელი — დიდი სამამულო ომის მონაწილე ხ. ჩხარტიშვილი. წიგნში მოთხრობილია ჯარისკაცული საფრონტო ცხოვრების მღელვარე ეპიზოდები, დამაჯერებლად არის წარმოდგენილი, ქარიშხლიანი გზა სტალინგრადიდან ბერლინამდე.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ-75

თქვენმეტი გუნდი, რომლებმაც ეს უფლება ჩვენი ქვეყნის 1974 წლის პირველობაში მოიპოვეს, გამოვა საბჭოთა კავშირის 1975 წლის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. ესენი არიან: კიევის „დინამო“, მოსკოვის „სპარტაკი“, ოდესის „ჩერნომორეცი“, მოსკოვის „ტორპედო“, ერევნის „არარატი“, მოსკოვის „დინამო“, ლენინგრადის „ზენიტი“, ტაშკენტის „პახტაკორი“, თბილისის „დინამო“, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, ლვოვის „კარპატი“, დონეცკის „შახტიორი“, არმიის ცენტრალური სპორტული კლუბი, ვოროშილოვგრადის „ზარია“, მოსკოვის „ლოკომოტივი“ დონის-როსტოვის არმიის სპორტული კლუბი.

პირველ ლიგაშია 20 გუნდი: ალმა-ათის „კაირატი“, კიშინიოვის „ნისტრუ“, მინსკის „დინამო“, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“, ბაკოს „ნეფტჩი“, სიმფეროპოლის „ტავრია“, კემერეოვოს „კუზბასი“, ქუთაისის „ტორპედო“, დუშანბეს „პამირი“, პერმის „ზვეზდა“, იაროსლავლის „შინეკი“, ივანოვო-ფრანკოვსკის „სპარტაკი“, ზაპოროჟიეს „მეტალურგი“, ნალჩიკის „სპარტაკი“, კრასნოდარის „კუბანი“, სვერდლოვსკის „ურალმაში“, ორჯონიკიძის „სპარტაკი“, ფრუნზეს „ალგა“, ყაზანის „რუბინი“ და ხარკოვის „მეტალისტი“.

სსრ კავშირის ფეხბურთის ჩემპიონატის დებულებით გათვალისწინებულია დამატებითი თამაშები იმ შემთხვევაში, თუ ორ ან მეტ გუნდს, რომლებსაც აქვთ საპრიზო ადგილების პრეტენზია, ექნებათ თანაბარი ქულები ან გადადიან ერთი ლიგიდან მეორეში.

ფეხბურთის ადგილობრივ ფედერაციებს დაევალათ იზრუნონ იმისათვის, რომ თვითეულ სტადიონზე მატჩები მიმდინარეობდეს ხაზეიმო ვითარებაში. სტადიონებზე ამ დღეებში გამოვლენ ცნობილი სპორტსმენები, ანსამბლები, ორკესტრები.

სსრ კავშირის 1975 წლის ჩემპიონატისა და თასის გათამაშების კალენდარი უნდა შემუშავდეს ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდების მომზადებისათვის უფრო ხელმეწყობი პირობების შექმნის გათვალისწინებით. დაგეგმილია ივლისში სსრ კავშირში მოეწყოს სოციალისტური ქვეყნების ძლიერი გუნდების ტურნირი და ევროპული ლიგის გუნდების შეჯიბრება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში. ეს ტურნირები მოეწყობა საერთაშორისო შეჯიბრებაში ნაკრები გუნდების მომზადებისა და გამოსვლის პერიოდში.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაავალა სრულიად საკავშირო მსაჯთა კოლეგიას განახორციელოს ღონისძიებანი მატჩების მსაჯობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. გათვალისწინებულია, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულმა ინსპექტორებმა შეამოწმონ მსაჯობა და თამაშები კინოგადაღებისა და ვიდეომაგნიტოფონის ჩანაწერების გამოყენებით. გადაწყვეტილია თამაშის არბიტრები განისაზღვროს წილისყრით.

1975 წლის თებერვალ-მარტში გაიმართება მსაჯთა სრულიად საკავშირო შეკრება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ახალი ნორმატივების მიხედვით თეორიულ და ფიზიკურ მომზადებაში მათი ატესტაციისათვის. იმათ, ვინც ვერ ჩაბარებს გამოცდას, არ დაუშვებენ ჩემპიონატისა და სსრ კავშირის თასზე მატჩების მომსახურებისათვის.

სპორტულ-ტექნიკურ კომისიას წინადადება მიეცა ფეხბურთელთა გუნდების დაკომპლექტება მოსახდენოს ზუსტად ინსტრუქციის შესაბამისად — „ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მოთამაშეთა ერთი ფიზიკულტურული ორგანიზაციიდან მეორეში გადასვლის წესის შესახებ“.

გამონაკლისის სახით ნებადართულია პირველი ლიგიდან უმაღლეს ლიგაში გადაყვანილ გუნდებში შეიდამდე გაიზარდოს მოთამაშეთა მიღება.

(საკადესი).

ᲙᲠᲣᲘᲤᲘ — ᲔᲕᲠᲝᲠᲙᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡᲛᲔᲜᲘ

ᲙᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ნაკრების ფეხბურთელი იოჰან კრუიფი, რომელიც ამჟამად ესპანეთის „ბარსელონაში“ გამოდის, გამოკითხვის შედეგად, რაც ფეხბურთის მიმოხილველებს შორის მოაწყო ფრანგულმა ყოველკვირეულმა „ფრანს ფუტბოლმა“, ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ 1974 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡᲚᲔᲓ.

27 წლის იოჰან კრუიფი მესამედ აღიარეს კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელად (აკადე — 1971 და 1973 წლებში). ეს ევროპის თავისებური რეკორდია. წინათ მხოლოდ ესპანელ ალფრედო დი სტეფანოს ორგზის მეგუთვნა „ოქროს ბურთი“.

ასლანდელ რეფერენდუმში მეორე ადგილზეა დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი ფრანც ბეკენბაუერი, მეკამეზე — კაზიმეჟ დეინა (პოლონეთი).

— უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ ევროპამი საუკეთესოდ დამასახელეს — უთხრა საკდესის მადრიდელ კორესპონდენტს ვ. შეხოვცოვს ევროპის ფეხბურთის რეკორდსმენმა.

— მაგრამ კიდევ უფრო მახარებს პოლანდიის ნაკრების წარმატება მსოფლიოს ჩემპიონატზე. ჩვენ პირველი ადგილი ვერ დავიკავეთ, მაგრამ ვაჩვენეთ თამაში, რომელიც, ჩემი აზრით, დიდხანს დარჩება ფეხბურთის მოყვარულთა ხსოვნაში.

1974 წელს „ბარსელონამ“ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი. ჩემთვის, ამ კლუბის მოთამაშისათვის — ეს ხასიათრულოა.

— შეგიძლიათ თუ არა რაიმე თქვათ მომავლის ფეხბურთზე?

— ფეხბურთი მუდმივ განვითარებაშია, იცვლება თამაშის სისტემა და ტაქტიკა. ახლა ბევრნი ცდილობენ გამოიღონ ჩემპიონატზე ჰოლანდიის ნაკრების თამაში. მაგრამ... ფეხბურთი კვლავ ნამდვილად შეიცვლება. გაჩნდება ახალი სისტემები და მიბაძვის ღირსი ახალი მგრეხები.

— რა არ მოგწონთ ყველაზე მეტად თანამედროვე ფეხბურთში?

— უხეში თამაში, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მეტად ხშირად გვხვდება სტადიონებზე.

— რა შეგიძლიათ ურჩიოთ ბიჭუნას, რომელიც ოცნებობს ცნობილი ფეხბურთელი გახდეს?

— რაც შეიძლება მეტი იფარჯიშოს და ზუსტად შეასრულოს მწვრთნელის მითითებები და სიტყვები.

— როგორია თქვენი გეგმები.

— უახლოეს ორ წელიწადს ვითამაშებ „ბარსელონაში“ (ჩემი კონტრაქტი ამ კლუბთან გადის 1976 წლის 30 ივნისს) მერე გადავწყვეტ თუ რა ვაკეთო შემდეგ. მაგრამ უკვე ახლა შემიძლია ვთქვა: მსოფლიოს შემდეგ ჩემპიონატში მონაწილეობას არ მივიღებ. (საკადესი).

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

ᲠᲝᲒᲒᲐᲠᲗᲘᲐ. გამარჯვებით დაიწყო ახალი წელი ნორჩმა მოსკოველმა ოსტატმა ნატაშა ჩმირიოვამ. მან მელბურნში გაიმარჯვა ავსტრალიის ღია პირველობაზე გამართულ გოგონათა ტურნირში. ფინალში ჩმირიოვამ დაამარცხა ავსტრალიელი ნინო გრეგორი — 7:5, 6:4.

ᲙᲘᲔᲕᲘ. ოტავაში მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატზე იუნიორთა შორის საბჭოთა ჰოკეისტებმა მოიპოვეს მესამე გამარჯვება, ამჯერად აშშ-ის ნაკრებზე (3:1).

ᲐᲮᲐᲚᲘ წლის პირველ დღეს ზედიზედ მეცამეტე გამარჯვება მოიპოვა მიმდინარე ჩემპიონატში ბუენოსაირესში ჰოკეიში მოსკოვის „დინამომ“, რომელმაც დედაქალაქში დიდი ანგარიშით 9:0 მოუგო ქვეყნის ჩემპიონს — სვერდლოვსკის არმიელთა გუნდს.

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲝ. ბრაზილიის უდიდეს ქალაქ სან-პაულუს ქუჩებში გაიმართა საიუბილეო, რიგით 50-ე „კორიდა სან-სილვესტრე“ — მორბენალთა ტურნირი, რომლის მონაწილენი სტარტს იღებენ ძველ, ხოლო ფინიშს აქვთ ახალ წელს. ამჯერად გარბენი მოიგო 27 წლის კოსტარიკელმა ფიზკულტურის მასწავლებელმა რაფაელ პერესმა, რომელმაც 8.900-მეტრიანი დისტანცია დაფარა 23 წუთსა და 58 წამში.

ᲐᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ

1974 ᲬᲚᲘᲡ საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ლევან თედიაშვილი.** ეს გამოავლინა რესპუბლიკის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის ტრადიციულმა გამოკითხვამ.

ჩვენი „ამორჩენილი ფალავანი“ — ოლიმპიური ჩემპიონი, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ლ. თედიაშვილი უკვე მეორე წელია ზედიზედ დასახელეს № 1 სპორტსმენად. წლის საუკეთესო სპორტსმენთა რიცხვში (ქოროვილი ქულების რაოდენობის მიხედვით) შევიდნენ ევროპის მიმდინარე წლის ჩემპიონი-მძლეთა სანი თბილისელი **ვიტალორ ხანეევი,** მსოფლიო ჩემპიონი ტანვარჯიშში ბათუმელი **რუსუდან სიხარულიძე,** სსრ კავშირის ხალხთა მესამე ზამთრის სპარტაკიადის ჩემპიონი ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში, ბაკურიანელი **მიხეილ გავა,** მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, თბილისელი **ნონა გაფრინდაშვილი,** მსოფლიო ჩემპიონი ტანვარჯიშში, თბილისელი **ნინო დრონოვა,** სსრ კავშირის ჩემპიონი ჩოგბურთში, თბილისელი **ალექსანდრე მეტრეველი,** საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული, თბილისელი **ნანა ალექსანდრია,** სსრ კავშირის ჩემპიონი ძალოსნობაში, თბილისელი **დატო შანიძე,** მსოფლიო ჩემპიონი საბერში, თბილისელი **იოსებ მალლაშვილი.** (საქინფორმი).

□

ᲛᲐᲜᲘᲚᲐ, ᲛᲔᲮᲘᲙᲝ, ᲛᲘᲓᲘᲐᲜᲘ...

ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ. 2 იანვარი. (საკ. დესი). ფილიპინებისა და მექსიკის დედაქალაქებმა — მანილამ და მეხიკო-სიტიმ, აგრეთვე იტალიის ქალაქმა მილანმა გამოთქვეს სურვილი უმასპინძლონ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის მატჩს, რომელიც რობერტ ფიშერს (ამერიკის შეერთებული შტატები) და ანატოლი კარპოვს (სსრ კავშირი) შორის გაიმართება. მატჩი დანიშნულია 1975 წლის 1 ივნისისათვის.

ეს დღეს აქ განაცხადა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმა. მატჩის ადგილს დაასახელებენ 17 თებერვალს.

წესის თანახმად, მონაწილეებმა 3 თებერვლამდე უნდა აცნობონ ფედერაციას, როგორ ქალაქში ურჩევნიათ თამაში.

ᲡᲐᲥᲐᲮᲐᲚᲓᲚᲝ ᲙᲘᲜᲝᲤᲝᲢᲝ



ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲘᲧᲝ

„ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐ ბედნიერი იყო“, — ასე უწოდეს თავიანთ ფილმს კინორეჟისორმა და მსახიობმა ნ. გუბენკომ და სცენარისტმა ვ. სოლოვიოვმა. ფილმი მოგვითხრობს მფრინავ-გამომცდელ ანდრეი როდიონოვისა და ტელეეურნალისტ ტანია როდიონოვას ჭეშმარიტ სიყვარულზე. ამ ორ ადამიანს ვერ წარმოუდგენია არსებობა თავიანთი პროფესიის გარეშე და მიუხედავად იმისა, რომ მათ ხშირად უხდებათ ხანგრძლივი განშორება, მათთვის სამსახურისადმი უანგარო და კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით განისაზღვრება ადამიანური ღირსება.

ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ: ე. ბოლოტოვა, ნ. გუბენკო, ვ. შუკშინი, ლ. ფედოსეევა და სხვ.

კინოსტუდია „მოსფილმის“ ნაწარმოები.

ᲡᲐᲙᲝ ᲓᲐ ᲕᲐᲜᲪᲔᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲡ ეკრანებზე გამოდის იტალიელი რეჟისორის ჯულიანო მონტალდოს ფილმი „საკო და ვანცეტი“, რომელშიც მოთხრობილია იტალიელი ემიგრანტების მეწაღე ნიკოლო საკოსა და თევზით მოვაჭრე ბართლომე ვანცეტის ტრაგიკულ ბედზე. ამერიკის ქალაქ საუტ-ბრეინტრში პოლიციამ დააკავა ორი იტალიელი ემიგრანტი, რომლებსაც ბრალი ედებოდათ ძარცვასა და მკვლელობაში. ამერიკულმა სამართალმა ყოველგვარი სამხილის გარეშე მიუსაჯა მათ სიკვდილი. მთელ მსოფლიოს მოედო მღელვარების ტალღა. სიკვდილმისჯილებს მთელი პროგრესული კაცობრიობა უჭერდა მხარს... ვანცეტის როლს ასრულებს გამოჩენილი მსახიობი, საზოგადო მოღვაწე, იტალიის კომუნისტური პარტიის წევრი ჟან მარია ვოლონტე.

რედაქტორი დ. მჰედლიშვილი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ